# თავი 3

## ბუღალტრული ინფორმაციის არსი, დანიშნულება და მომხმარებლები – ტესტები

1. საწარმოს ყოველდღიური საქმიანობის მართვისათვის გამოიყენება:
   ა) ოპერატიული ინფორმაცია;
   ბ) ფინანსურ-სააღრიცხვო ინფორმაცია;
   გ) მართვისათვის აუცილებელი სააღრიცხვო ინფორმაცია.

2. მმართველობით-სააღრიცხვო ინფორმაცია გამოიყენება:
   ა) დაგეგმვის, შესრულების და კონტროლის პროცესში;
   ბ) თანამშრომლებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად;
   გ) გარე მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად.

3. მმართველობით ფუნქციებს შორის უკუკავშირი ნიშნავს:
   ა) შესრულების პროცესში კორექტივების განხორციელებას;
   ბ) გეგმების გადახედვას;
   გ) ორივე პასუხი სწორია.

4. კომპანიის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად ამოცანების განსაზღვრა მიეკუთვნება:
   ა) დაგეგმვას;
   ბ) შესრულებას;
   გ) კონტროლს.

5. როცა ვაფასებთ, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი, ჩვენ ვახორციელებთ:
   ა) დაგეგმვის პროცესს;
   ბ) კონტროლის პროცესს;
   გ) შესრულების პროცესს.

6. ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია გამოიყენება:
   ა) მენეჯერების მიერ;
   ბ) პოტენციური ინვესტორების მიერ;
   გ) ორივე პასუხი სწორია.

7. ინფორმაციის მომხმარებლები ტიპების მიხედვით იყოფა:
   ა) თანამშრომლებად და მენეჯერებად;
   ბ) შიგა და გარე მომხმარებლებად;
   გ) ბიზნესპარტნიორებად და საზოგადოებრივ მომხმარებლებად.

8. აღნიშნეთ ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები, რომელთაც პირდაპირი ფინანსური ინტერესები გააჩნიათ:
   ა) საზოგადოება;
   ბ) კრედიტორები;
   გ) გამყიდველები.

**9. პოტენციური ინვესტორები არიან:**

ა) პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები;

ბ) არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონდე მომხმარებლები;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**10. ამოარჩიეთ სწორი მსჯელობა:**

ა) ინფორმაციის წარდგენა გარე მომხმარებლებისათვის ხდება სააღრიცხვო დოკუმენტებით;

ბ) ინფორმაციის წარდგენა შიგა მომხმარებლებისათვის ხდება ანგარიშგების გზით;

გ) ინფორმაციის წარდგენა გარე მომხმარებლებისათვის ხდება ანგარიშგების გზით.

**11. ცნება "მოგებიანობა" გულისხმობს:**

ა) ისეთი მოგების მიღების უნარს, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციის მოზიდვას და საინვესტიციო კაპიტალის დამაგრებას;

ბ) რესურსების მართვას ვალდებულებების გასტუმრების უზრუნველყოფის მიზნით;

გ) რესურსების მართვას იმ მიზნით, რომ საწარმოს ყოველთვის გააჩნდეს საკმარისი ოდენობის ნაღდი ფული.